პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

____ ოქტომბერი, 2019 წელი **ქალაქი ბათუმი**

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 24/09/2012, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.132.016140) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-6 მუხლის 6.8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.8. სარეკრეაციო ზონა (რზ):

ზონის ტერიტორიისათვის უძრავი ქონების (ობიექტების) დასაშვები სახეობები:

• პარკები;

• ბაღები;

• სკვერები;

• ბულვარები;

• დეკორატიული გაფორმების ობიექტები;

• მცირე არქიტექტურული ფორმები (საპარკო პავილიონები, როტონდები, კიოსკები, შადრევნები, დეკორატიული აუზები, წყლის სასმელები, კასკადები, არხები და სხვა);

• სპორტული მოედნები;

• პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტები;

• სავაჭრო პავილიონები;

• ატრაქციონები;

• საწყალოსნო ობიექტები (ნავმისადგომები, პირსები, ელინგები);

• საერთო სარგებლობის ღია მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ავტოსადგომები;

• საზოგადოებრივი ტუალეტები;

• სამაყურებლო ობიექტები (ესტრადები, ამფითეატრები, საგამოფენო დარბაზები, კინოთეატრები);

• სპორტულ-ფიზკულტურული ნაგებობები (სტადიონები, სპორტდარბაზები, ღია და დახურული საცურაო აუზები);

• სათამაშო ავტომატების დარბაზები, საბილიარდოები და ა.შ.;

• ზოოპარკები;

• კაფეები, რესტორნები;

• სასტუმროები;

• საეკლესიო ობიექტები;

• სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზირებული დაწესებულებები;

• ადმინისტრაციის შენობები.

-სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის კომუნალური და საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობები.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროეტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებულ სარეკრეაციო ზონაში მოქმედი დადგენილების თანახმად არ არის დასაშვები საინჟინრო და კომუნალური ობიექტების განთავსება, როგორც პრაქტიკამ აჩვენა ხშირია შემთხვევა, როცა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის (კომუნალური და საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობები) მქონე პროექტების განხორციელება ფერხდება ამ ზონის ტერიტორიაზე იმ მოტივით, რომ ვერ ხდება საინჟინრო და კომუნალური ობიექტების განთავსება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიაჩნია, რომ შესაძლებელია სარეკრეაციო ზონაში ერთ-ერთ დასაშვებ სახეობად განისაზღვროს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის კომუნალური და საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობების მშენებლობა.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროეტი.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება;

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე-არ გამოიწვევს

გ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში არ მიღებულა კონსულტაციები.

დ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ე) პროექტის ინიციატორი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი **ბარიან მეტრეველი**